№ 39

სამშაბათი, 4 მარტი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877 – 1897

# ივერია

№ 39

სამშაბათი, 4 მარტი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## მთავრობის განკარგულებანი.

—

დამტკიცებულ იქმნენ: რაჭის მაზრის უფროსი, დროებით აღმასრულებელი სენაკის მაზრის უფროსის თანამდებობისა, პოდპოლკოვნიკი ქავთარაძე—სენაკის მაზრის უფროსად.

ლეჩხუმის მაზრის უფროსი, დროებით აღმასრულებელი ოზურგეთის მაზრის უფროსის თანამდებობისა სტატსკი სოვეტნიკი ალშიბაია—ოზურგეთის მაზრის უფროსად.

---

# ახალი ამბავი

—

*** ოთხშაბათს, 5 მარტს, სამეურნეო საზოგადოების კრებაზე თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შესახებ იმისა, როგორი წრე უნდა შესდგეს, რომ უფრო კარგა უწამლონ ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობას.

*** პირველს ღ ორს მარტს საშინელი ქარი ქროდა ფოილიდგან დაწყებული მცხეთამდე, ასე რომ რამდენიმე მატარებელი გააჩერა გზაში ქარმა და მეორე ორთქლ-მავალის მიბმა დასჭირდა.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს გორსა და ტფილისს შუა დიდ-ძალი მგზავრი დადის რკინის გზით, რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა ბ. შაიკევიჩმა ორს მარტს მოახდინა განკარგულება, რომ სახალხო მატარებლებს მოუმატონ თითო დიდი მესამე კლასის ვაგონი ტფილისიდგან ხაშურამდის და ხაშურიდგან ტფილისამდის, რომ მგზავრები ისე შევიწროებულნი არ იყვნენ ხოლმე, როგორც აქამდის.

*** 2 მარტს ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება იყო დანიშნული. რადგან კრებაზედ წევრთა კანონიერი რიცხვი—180 კაცი არ გამოცხადდა, იგი კვირას, მარტის 23 რიცხვისათვის იქმნა გადადებული. ამ მეორე კრებაზედ რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, კრება კანონიერად ჩაითვლება. კრებაზედ შეკრბა მხოლოდ 50 წევრი.

*** ანჩხატის უბანში, ტფილისს, აგერ სამი დღეა ერთს ბაზაზს, ან—ოვს, ცოლი დაეკარგა. ყმაწვილს ქალს, სახით ძალიან ლამაზს, მაშო ერქვა. თუმცა ბევრს ეძებენ როგორც ქმრის, ისე თვით ქალის ნათესავები, მაგრამ ამაოდ: ცამ ჩაყლაპა, დედამიწამ, ვერსად მიუგნიათ. მთელის ანჩხატის უბნის დიდი და პატარა ფეხზედა სდგას და ლაპარაკსა და ჭორს დასასრული არა აქვს. ზოგნი ამბობენ, რომ არშიყი ჰყავს და იმას გაჰყოლიაო; ზოგი—თხუთმეტი თუმანი ჰქონდა ბანკში შეტანილი იმისს ქმარს ცოლის სახელობაზედ, ისიც გამოუტანია და ისე გაქცეულაო. ზოგნი ამასაც არა კმარობენ და ქალის არშიყად, რომელთანაც იგი გაქცეულა, ასახელებენ ვიღასაც ქალთა სამოსელის თერძს ა. ნ—ოვს, რომელიც ქალაქში არსადა სჩანს და სადღაც არის მიმალული.

*** როგორც შევიტყეთ, დრამატიული საზოგადოების კრება მოწვეულ იქნება 6 აპრილს.

*** მისი მეუფება სომეხთა პატრიარქი ჩამოვა ტფილისში ამ თვის შუა რიცხვებში. (გაზ. „კავკაზი").

*** გაზ. „ახ. მიმოხ." სწერს, რომ ამ ჟამად იტალიის ქალაქის ფოსსანოს თეატრის ოპერაში მღერის ქართველი ახალგაზდა მომღერალი გვარად ევლახიშვილი და კარგის მომღერლის სახელიც მოუხვეჭია. ევლახიშვილი სცენაზედ გამოდის თურმე „ბრიუნეტტის" გვარით (Brunetti) და იქაურ გაზეთებში სწერენ, რომ საზოგადოე³ას და ოპერის ორკესტრს დიდი პატივი უცია ახალგაზდა მომღერალისათვის ბენეფისის დროს და დაფნის გვირგვინი მიურთმევიათ.

*** რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთებში სწერენ, რომ შავი ჭირი ბომბეიდან ნელ-ნელა გადმოდის ბელუჯისტანისა და ავღანისტანის საზღვრებზეო.

*** 28 თებერვალს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში შავის სახადით შეპყრობილი ორი სნეული მიუყვანიათ—გლ. ალ. ჭავჭავაძე და გლეხი ივ. ციცქალაური.

2 მარტს ხსენებულ საავადმყოფოში 9 კაცი ყოფილა სახადით ავადმყოფი.

*** „კავკაზ"-ის სიტყვით, 25 თებერვალს სოფ. ბალბას, სიღნაღის მაზრაში, თავ. კ. დ. ვაჩნაძეს და გ. ზ. ვაჩნაძეს ერთმანეთს შორის ჩხუბი მოსვლიათ და პირველს მეორე რევოლვერით დაუჭრია.

*** როგორც იგივე გაზეთი ამბობს, გზათა სამინისტროს კავკასიის რკინის გზის მმართველობისათვის 33 ათასი მანეთის დახარჯვის ნებართვა მიუცია, რომ ის ადგილები გამოირკვიოს, სადაც კახეთის მომავალი რკინის გზის ლიანდაგის გაყვანაა განზრახული, ხოლო იმ ადგილის გამოსარკვევად, საცა ბორჯომიდგან ბაკურიანამდის რკინის გზის შტოს გაყვანა აქვთ განზრახული, 9,000 მანეთის დახარჯვის ნება-რთვა მიუცია.

*** 2 მარტს, $12^1/_2$ საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ტფილისის 1 და 2 გილდის ვაჭართა საზოგადოების წლიური კრება იყო, რომელმაც პირველად წარსულის წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და სხვა საგნები განიხილა. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, 1 იანვარს 1897 წ. საზოგადოებას წმინდა თანხა 137,504 მან. 87 კაპ. ჰქონია. დაბოლოს კრებამ აირჩია: ვაჭართა უფროსად ე. ა. დჟვიდოვი, იმის ამხანაგებად—ი. ა. შადინოვი და ე. მ. აკოფოვი, სარევიზიო კამისიის წევრებად: პ. ი. ალიბეგოვი და ბ-ნი ტერ-სარქისოვი.

*** როგორც „ნოვ. ობოზ." ამბობს, სოხუმში აზოვის სანაოსნო საზოგადოებისათვის ნავთ-საყუდელის გაკეთება განუზრახავთ.

*** „ნოვ. ობოზ." სიტყვით, 28 თებერვალს გორის ახალი ხიდის ხარაჩოებს, რომელზედაც საპიორები ჰმუშაობდნენ, ტივი დასტაკებია და დაუნგრევია. კაპიტანს მატტევს თავისს დროზედ უხმარია ღონისძიებანი და ამის წყალობით მუშები გადარჩენილან დარჩობას.

*** ბევრჯელ დაწერილა ამბავი ტფილისის ქუჩების უვარგისობისა, მაგრამ ყურადღებას მაინც არავინ აქცევს. ჩვენი ქუჩები ისევ ისე უპატრონოდ არის დატოვებული. მაგალითებრ, ფეიერვერის ქუჩა ისეთს მდგომარეობაშია, რომ ღმერთმა შეინახოს. გუშინ-წინ, 2 მარტს, ისეთი წუმპე იდგა ამ ქუჩაზედ, რომ ადამიანს შეზზარავდა. ტალახი ტალახია, მაგრამ ის წუმპე-კი ყოველის მხრივ სისაძაგლეს წარმოადგენს, ასე რომ იქ გავლა ყოვლად შეუძლებელია და ამას გარდა, ისეთს სუნს ავრცელებს, რომ ცხვირ-დაუცომლად ძნელია იმის ახლოს გავლა. ინდოეთიდგან შავი ჭირიც რომ არ გვეწვიოს, ისიც საკმარისია სხვა რომლისამე ჭირის გასაჩენად. გზის ქვით მოკენჭას ვიღა სჩივის, თუმცა ამ საჭიროებისათვის ფული დიდი ხანია შეკრებილია,—უბრალო მიწით მაინც ამოავსებდნენ ამ წუმპეს, ან სხვა გზით მაინც მოუხერხებდნენ ამოშრობას. ჩვენთა ქალაქის ჭირისუფალთა უყურადღებობა, მართლაც, საკვირველია და საოცარი.

*** ოზურგეთი: ქართულმა ნოტით გალობამა და სიმღერამ ისე იმოქმედა თურმე ოზურგეთისა და იმის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მკვიდრზედ, რომ ყველას აღეძრა აქ სურვილი ამ გალობის ხალხში გავრცელებისა. ამ აზრით აქაურმა ინტელიგენციამ კომიტეტი შეადგინა, რომელსაც განზრახვა აქვს დაავალოს ბ-ნ ფ. კორიძეს რამდენისამე მგალობელთა ხოროს შედგენა საქართველოს სოფლებსა ღ დაბა ქალაქებში გალობის გასავრცელებლად და აგრეთვე ყველგან მოგზაურობა და ქართულ კონცერტების გამართვა. კომიტეტის თავმჯდომარედ იმყოფება ოზურგეთის მაზრის წინამძღოლი თ. ს. დ. გუგუნავა. ეხლა კომიტეტი იმის ზრუნვაშია, რომ ამ ფრიად კეთილის აზრის განსახორციელებლად საჭირო ფული შეჰკრიბოს. ამ საგნისათვის ლანჩხუთიდგან ბ-ნს ი. საბაშვილს შეუწირავს 3 მან. და ყოველ თვიურად 5 მანეთს დახმარებას დაჰპირებია. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ახლად შემდგარს კომიტეტს ყველა თანაგრძნობით მიეგებება.

---

## წერილი თელავიდგან

22 თებერვალი.

მე მგონია ისე არსად არ არის გალვიძებული „მადა მიმბაძველობისა", როგორც ჩვენს კურთხეულს ქალაქში. ეს პაწია კუთხე კახეთისა, რომელიც, თხილის ნაჭუჭში თუ არა, კაკლისაში მაინც ჩაეტევა, ყოველის ღონის-ძიებითა სცდილობს დიდს ქალაქებთან გასჭიმოს ფეხი და მათ წაჰბაძოს. მერე რაზედ ეტყობა ეს წაბაძვა?

აი, აქა მარხია ძაღლის თავი!. წამბაძველობაც არის და წამბაძველობაც, რაც დიდს ქალაქს მოუხდება და შეეხამება, ის, შესაძლებელია, სხვას ყელზედ ჩაუყლაპავ ძვალად დაადგეს. არის ბევრი რამ მიმზიდველი, თვალის მომტყუებელი დიდ ქა-

---

# ფელეტონი

—

### საძაგელი წამი

(პოლ მარგერიტისა).

ლიონის რკინის გზის სადგურზედ ველოდებოდი ჩემს მეგობარს რევოლის. მატარებელი უახლოვდებოდა სადგურს. თვალები დავაცეცე ვაგონიდგან გამომსვლელს ხალხს, მაგრამ ჩემი მეგობარი ვერსად ვერ დავინახე. გამოვიდა ვიღაცა სქელი კაცი, გამოჩნდა ძალზედ ჩასუქებული ქალი და ორი პატარა დასქელებული ბავშვი. ყველას ხელში ეჭირათ ყუთები, შალები, ჩამადნები და წვრილმანი ბარგი. ბოლოს გამოჩნდა საშინელი სქელი, ახმახი ძიძა ძუძუ-მწოვარა ბალღით. გამოიტანეს საკერავი მაშინა, გალიები ჩიტებით და გამოგდეს სკამ ქვეშიდგან გასუქებული ძაღლი. ეხლა-კი ჩემი ამხანაგიც გამოჩნდა. ამ ჩასუქებულების. შემდეგ იგი უფრო გამხდრად მეჩვენა; ხელები საშინლად უკანკალებდა.

— საბრალო, რა თანამგზავრები გყოლია-მეთქი! გავეხუმრე და ხელი ჩამოვართვი ჩემს მეგობარს.

— რას ამბობ, ბედსა ვმადლობდი, ეგენი რომ დავინახე, მხოლოდ მაგათმა ჯან-მრთელობამ დამიმშვიდა გული იმ შეშლილის შემდეგ, რომლის ხელში მთელი საათი დავიტანჯე.

— შეშლილიო?—შევყვირე მე.

— ნამდვილად შეშლილი, ჰო, დაიცა ეტლში გიამბობ დაწვრილებით ჩემს თავ-გადასავალს. ეხლა მეცინება, მაგრამ მაშინ უნდა გენახე, რა საცოდაობაში ვიყავი...

ეტლში რომ ჩავსხედით რევოლიმ დაიწყო:

„ლარიში პირველის კლასის ვაგონში ჩავჯექი. იმავე ვაგონში ჩემს პირდა-პირ იჯდა ერთი მოგზაური და ფანჯარაში იყურებოდა. მატარებელი რომ დაიძრა, მგზავრი მობრუნდა ჩემს მხარეს და შემომხედა. რაღაცა ჟრუანტელმა გამიარა ტანში იმისი სახე რომ დავინახე. იმისი მოგრძო, ცოტაოდნად გამრუდებული სახე, გაყოფილი წვერები, მწვეტიანი, მოტვლეპილი თავი, მწვანე თვალები და რაღაცა უცნაური ღიმილი სწორედ შეაშინებდა ადამიანს.

— სუნი არ გაწუხებთო?—მკითხა.

„მე მგონი პაპიროსის მოწევის ნებასა მთხოვს-მეთქი, მაგრამ ხელში არა ეჭირა-რა და რაღაცა პასუხი წავილუღლუღე. იმან-კი თავაზიანად განაგრძო:

—„ბუზების სუნია აქა, არც თუ ძალიან ცუდია ეს სუნი, მაგრამ მაინც შეჩვევა უნდა. ექიმი ბძანდებით?

„თავი გავიქნიე, იმან ეჭვის თვალით შემომხედა და სთქვა:

—„მე ექიმი ვარ, კარგადა მაქვს გამოკვლეული მაგ მწერების სუნი; ჩემთვის ბუზები ძალიან საინტერესონი არიან, რადგანაც ისინი ფრთების ტოკვის დროს ჰაერში ავრცელებენ რაღაცა სითხეს. ბულბულის სუნი-კი ძალიან საძაგელია, გძელნისკარტასი—საუცხოვო რამ არის.

—„დიაღ-მეთქი! წამოვიყვირე საშინლად შეწუხებულმა. ჩავიხედე გზის მაჩვენებელს წიგნში და, ჩემდა სამწუხაროდ, შევიტყე, რომ ერთის საათის განმავლობაში არსად არ უნდა შემდგარიყო მატარებელი. თვალით ვეძებდი მატარებლის შესაყენებელს ზარს, მაგრამ, საუბედუროდ, მისი ღილი სწორედ შეშლილის თავთან იყო გამართული. თვალ-ყურს საშინლად მადევნებდა შეშლილი და რომ შემნიშნა რაღასაც ვეძებდი, სასტიკად დამიყვირა:

—„მაშ ექიმი არა ხართ?

—„არა, ექიმი არა ვარ.

—„მაშ რა მიზეზით უცქერით ზარსაო? საჩქაროდ გაიხსნა მშვენიერი ახალი პალტო და ამოიღო რევოლვერი ბულდოგის სისტემისა.

— ექიმი არა ხართო? განიმეორა კიდევ.

„არა, არავარ-მეთქი ექიმი, შიშით ვუპასუხე და თან ვფიქრობდი, რა უფრო ემჯობინება, მოვეალერსო თუ როგორმე გამოვტაცო რევოლვერი-მეთქი.

— „მაშ შეშლილი იქნებით და ძალიანაც მებრალებით; საზოგადოდ ძალიან მებრალებიან შეშლილები, მაგრამ მაინცა ვზრუნავ იმათთვინ, რადგანაც კეთილის გულისა ვარ. ეხლა საავადმყოფოში მყავს ოთხი-ათასს ხუთას ოც-და-შვიდი შეშლილი, მაგრამ არა,

ლაქში, რომელიც, განვიმეორებთ, მხოლოდ სადიდ-ქალაქოა, მისი კანონიერი შვილია და სხვაგან-კი იგი ბუშზედაც-კი უარესად გამოჩნდება.

ერთი ამ შეუფერებელად გადმოყნობილ მცენარედ ჩვენს ნიადაგზედ ესრედ წოდებული „საკოსტიუმო ბალი“ მიგვაჩნია, რომელიც გუშინ იყო გამართული თელავ-ს სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში ამ სასწავლებლისავე სასარგებლოდ. ეს ბალი (ეს მესამედ თუ მეოთხედ იმართება) „ჩვენის აზრით ის ორ-ლესული იარაღია, რომელსაც ძალიან ფრთხილად უნდა მოავლოს კაცმა ხელი, რომ არ დაიჭრას. რასაკვირველია, საგანი ქველმოქმედებისა პატიოსანია, მაგრამ ამისთანავე მეტად დიდ-მნიშვნელოვანია აგრეთვე ხასიათი იმ გზისა, რომლითაც გინდათ ამ საგანს მიაღწიოთ. ჩვენ, რასაკვირველია, „საგანი ამართლებს საშუალებასაო“, არავითარ გამართლებად არ მიგვაჩნია და სწორედ ამიტომაც ხსენებული „საკოსტიუმო ბალი“-ის შესახებ დავიწყეთ ლაპარაკი, რადგან იგი ცოტად თუ ბევრად დამახასიათებელია ჩვენებურ ქველმოქმედებისა.

„საკოსტიუმო ბალი“, როგორც დიდის ხარჯის მთხოვნელი, ჯიბის ბარაქის შემმერტყველი, ჩვენისთანა გამწირებულ ხალხისთვის ერთის მხრივ თუ მიმზიდველია, მეორეს მხრივ მეტად მავნე. თელავისთანა ქალაქებში თითქმის ერთნი და იგივენი ეკარებიან, წარმოდგენასაც, კონცერტსაც, ბალსაც და ჩვეულებრივ საღამოსაც. ყველა ამ საქველმოქმედო საესტეტიკო ბეგარას ერთი და იგივე ჯიბე უსწორდება; დიდ ქალაქებში-კი დღეს თუ ივანე დაესწრო კონცერტს, ხვალ პეტრე წავა წარმოდგენაზედ, თელავში ივანე კონცერტშიაც უნდა იყოს, ბალშიც, საცეკვაო საღამოზედაც და სხვ.

ამის გარდა, „საკოსტიუმო ბალის“ გვირგვინი ხომ განსაკუთრებული სამკაულია და სწორედ აქ არის მიზეზი მისის მავნებლობისა. ამისთანა ქალაქებში, ეჭვს გარეშეა, ტანისამოსს ვერსად იქირავებთ და მაშასადამე უნდა ახალ-ახალი შეაკერინოთ; შეკერვასაც ხომ დიდი ვალი უნდა, რადგანაც ამისთანა შემთხვევაში ჩვეულებრივი ტანისამოსი არ ვარგა, უნდა ისტორიული იყოს, ანუ სხვა რითიმე განსხვავებული.

იქნება სთქვან, ვისაც ემძიმება, ნუ ჩაიცვამსო, მაგრამ ასეთი აზრი ვერაფერი მოხერხებული იქნება. ვიდრე „წამწყმიდა წახედულებასა“ და ცხოვრებას შორის არის რამე საერთო, ასეთი აზრი ცხადი საბუთი იქნება ცხოვრებისა და კაცის ბუნების უცოდინარობისა. „ნუ ჩაიცვამ“-ოს ვერ ეტყვი რომელსამე წევრს ოჯახისას, როდესაც გარეშემო მხოლოდ იმის შესახებ ესმის ლაპარაკი, თუ ვინ როგორ ითრვება, ვინ რა სამზადისშიაო. დაწყევლილი „წამწყმედი წახედულება“ ისეთი გადამდები სენია, რომ თავისის ძლიერებით მომავალ შავ ჭირსაც-კი გაუჯიბრდება.

და ყველა ამის შედეგი-კი აი რა არის: ერთის მანეთით რომ საქველმოქმედო საქმეს ეხმარები, ერთ თუმანსა და 15 მანეთს (ბევრჯელ 50—60 მან.) უნაყოფოდ ჰხარჯავ რაღაც ზიზილ-პიპილებზედ, რომელიც სახლში დაბრუნებისათანავე უნდა უზრუნველად გადაჰყარო, როგორც გამოუსადეგარი ნივთი იმ დრომდე, ვიდრე კვლავ შემთხვევა არ მოგეცემა, მაგრამ ყოველთვის ხომ ერთგვარის სამკაულით არ გამოხვალთ და აი კიდევ განმეორებული ხარჯი.

მერე რა დროს? მაშინ, როდესაც ცხოვრებამ და ჩვენმა უკულმართობამ კისრულზე წამოიღო ჩვენი ნივთიერი კეთილ-დღეობა და ერთი მცირე გაფანთქალება კმარა მეკისრულესი და თავდაქნილები ისე გავიშხლართებით, რომ ძნელად თუ ფეხზედ წამოდგომა-ღა შევიძლოთ.

მხოლოდ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცადინეობამ მიმბაძველობისამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა ჩვენში. ბალს, მართალია, საზოგადოება ბლომად ესწრება ხოლმე, როგორც გუშინ იყო, და მხიარულადაც ატარებს დროსა, მაგრამ მაინც „საკოსტიუმო ბალი“-კი ვერ „კოსტიუმობს“, თუ ასე ითქმის, ე. ი. განსხვავებულის სამკაულებით ძალიან ცოტანი განსხვავდებიან. გუშინაც აგრე გახლდათ, თუმცა მხიარულებას ამით არა დაჰკლებია-რა და შემოსავალიც საკმაო იყო.

ამის გამო რა საჭიროა, რომ საზოგადოებას თავზედ ვახვევთ იმას, რაც იმისთვის მაზარალებელია და რასაც ნიადაგი ვერ მოუპოვებია? განა სხვა გზით ვერ დავეხმარებით საქველმოქმედო საქმეს?! განა წარმოდგენა, კონცერტი, სალიტერატურო საღამო „საკოსტიუმო ბალზედ“ ნაკლებ მიმზიდველია, არა გვგონია.

ინენ

## წერილი პეტერბურგიდან.

შოთას ახალი სურათი და მისი ბიუსტი.

როგორც მოგეხსენებათ, დღემდის ქართველნი მხოლოდ ახალგაზდა სახით ვიცნობდით ჩვენს უკვდავსა და დიდებულს პოეტს შოთას. ამასთან მისი სახე, ხშირად სხვა-და-სხვა მხატვრის ფანტაზიის მიხედვით, ერთი მეორეს არა ჰგავდა, გაირჩეოდა და ამით, რასაკვირველია, დიდს კამათს იწვევდა ხოლმე საზოგადოებაში. რა უფრო ჭკუასთან ახლოა, რომელი იმათგანი უნდა ჩაითვალოს სასიქადულო მამულიშვილის ნამდვილ სახედ—ის, რომელიც გოლოვნიამ მოგვცა, მეტის-მეტად ჩაწვერსწორებული და ლამაზი, თუ რომელიც სხვა-და-სხვა დროს სხვათაგან იხატებოდა, თუნდ დეკ. ლამბაშიძის მიერ გამოცემული, რომელიც, უნდა გამოვტყდეთ, უფრო დაშორებული უნდა იყოს პოეტის ნამდვილს სახეს, ვიდრე სხვანი. ერთის სიტყვით, გადაჭრილი და ერთ-ხმად ნამდვილად აღიარებული არა ითქმოდა-რა. ახლა-კი სულ სხვაა. ახალი სურათი, რომელსაც დღეიდგან ქართველი საზოგადოება გაიცნობს, ყოველს ეჭვს გააბნევს და საშუალებასაც მისცემს მხატვართ, აღადგინონ მისი ნამდვილი ახალგაზდობის სახე. მკითხველი ქართველი საზოგადოება, ეჭვი არ არის, იკითხავს—საიდამ და როგორ აღმოჩნდა ეს სასიხარულო ამბავი, ვინ და როგორ იპოვნა შოთას ნამდვილი სახეო. ვისწრაფი ვაუწყო.

ამ რამდენისამე წლის წინად პატივცემული პროფესორი ცაგარელი პალესტინისა და წმ. ადგილთა ადგილობრივ გასაცნობად ჰმოგზაურობდა, სადაც ჩვენ ქართველთ დამოუკიდებლობის დროს ქრისტიანობის მიღების შემდგომ გვქონდა ჩვენი საკუთარი მონასტრები და, მაშასადამე, იქვე უნდა დარჩენილიყო მრავალი ისტორიული განძი. ეჭვი არ არის, თუ ყველა ქართველმა არა, უმეტესობამ მაინც იცის, რომ შოთა უკანასკნელად ბერად შესდგა და თამარის მინდობილებით განაახლა ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში. როგორც აღმოაჩინა პროფესორის ცაგარლის მოგზაურობამ, შოთას სახე, როგორც მონასტრის განმაახლებლისა, ამოუჭრიათ ქვაზედ და ერთს კედელზეა დღესაც დარჩენილი. შოთა ამ სახით უკვე მოხუცია, ბერის მანტიითა და ხელ გაპყრობილი ლოცვად. ზედვეა წარწერა, თუ ვინაა იგი მოხუცი: „...მონა უფლისა შოთა...“ და სხ., რომლითაც უწყებულია, ვინ გააახლა მონასტერი. ეს სახე მაშინვე თურმე გადიღო პატივცემულმა პროფესსორმა, მაგრამ დღემდის, სამწუხაროდ, არავის გადაუღია ამ ნამდვილიდამ პირი. ამ ჟამად პეტერბურღს სამხატვრო აკადემიაში სწავლობს ახალგაზდა მოქანდაკე თავ. თარხნიშვილი. ამან სთხოვა პროფესსორს ეს შოთას სურათი, გამოაქანდაკა ბიუსტი და უკვე მზად არის ჩამოსასხმელად. პროფესსორს ბ-ნს ცაგარელს და ერთობ ყველას, ვინც-კი ახლიდამ გადაღებული სურათი და ეს ქანდაკება ნახა, ძალიან მოეწონა, რადგანაც შეუმცდრადა და შესანიშნავის სინამდვილით აღადგინა იგი ბ-ნმა თარხნიშვილმა. ამისათვის დიდის მადლობის ღირსია თვით პატივცემული პროფესორიც და ბ-ნი თარხნიშვილიც, რომ ქართველს საზოგადოებას ამისთანა ფასდაუდებელი განძი შესძლვნეს. შემიძლიან ამასთანავე ვახარო ქართველს საზოგადოებას, რომ სულ მალე საყვარელისა და უკვდავის შოთას სახეს, როგორც საამაყო დამამშვენებელს სახლის მორთულობას, იაფად შეიძენს და თვალწინ იქონიებს.

ინ.—ან.

## სასამართლოს მატიანე

ნაფიც ვექილის ს. დ. სტაროსელსკის მოკვლის საქმე ბაქოში.

(შემდეგი *)

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბ-ნ სტაროსელსკის მოკვლა წინადვე იყო განზრახული. ჯერ ისევ 1895 წლის ზაფხულში ქერბალაი ჰუსეინმა მიჰმართა სეიდ ჰუსეინს და სთხოვა კაცი მოჰკალიო. ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად სეიდ ჰუსეინი მიწვეული იყო ბაკიხანოვთან და იქ დაუხვდნენ ზაფსათის მამასახლისი მათაფი და ვიღაც მეშადი აბანი. ესენი ჯერ ალექპერს ელოდნენ, მაგრამ არ მოვიდა და ბოლოს ბაკიხანოვმა უთხრა სეიდ ჰუსეინს, 400 მანათს მოგცემ და ის კაცი მოჰკალი, რომელსაც ჩვენ გიჩვენებთო. მეორე დღეს ქერბალაი ჰუსეინმა და მეშადი აბანმა წაიყვანეს სეიდ ჰუსეინი სტაროსელსკის სახლთან და როდესაც ის სახლიდგან გამოვიდა, უჩვენეს სტაროსელსკი და უთხრეს, ი ეს კაცი უნდა მოჰკლაო და რევოლვერიც მისცეს, მაგრამ სეიდ ჰუსეინმა სტაროსელსკის მოკვლა ვერ გაბედა და რევოლვერი უკან დააბრუნა.

პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ის თათარი, რომელიც ღამე კლუბის კარებთან ელოდდებოდა სტაროსელსკის, ყუბის მცხოვრები მეშადი-მამედ ბეგ-ჰაჯი-რუსტამ-ბეგ-ოღლი ყოფილა. მეეტლეებმა ზაიცევმა და აგამმა სთქვეს, ეს სწორედ ის კაცია, რომელიც სტაროსელსკის ელოდდა კლუბის კარებთან და მერე ეტლით სპარსეთის ქუჩაზედ წავიდაო.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მეშადი მამედ-ბეგს არავითარი საქმე და სახსარი არა ჰქონდა ცხოვრებისა და მუდამ-კი ქეიფობდაო. ეს კაცი თურმე ძლიერ იყო დაახლოვებული მამედ ბაკიხანოვთან, რომელიც თურმე ფულს აძლევდა. სტაროსელსკის მოკვლის ორის დღის წინად მეშადი მამედი ნახეს სასტუმრო „ბაბა“-ში რომ ღვინოსა სვამდა სოფ. ახთის მცხოვრებ ფათთახ აქიმ-ოღლისთან. აქვე მყოფმა მუსტაფა-ოღლიმ გაიგონა, მეშადი მამედმა რომ უთხრა ფათახს, მე ერთი ისეთი საქმე ჩამაბარეს, რომლის გულისთვის 800 მანეთი უნდა მომცენო და ამიტომ, ამ დღეებში ან ციხეში ვიჯდები, ან ვიქეიფებო. 14 ნოემბერს, ღამე, სტაროსელსკის სახლთან ერთადა ნახა ერთმა მედუქნემ მეშადი მამედი და ფათახი. მკვლელობის ერთის საათის წინად, პოლიციელ ამიდულასთან, რომელიც სტაროსელსკის სახლთან იდგა, მივიდა მეშადი მამედი და უთხრა, აქ, ერთს ქარვასლაში ქალალდის თამაშობაა და წავიდეთო. პოლიციელი ამიდულა გაჰყვა, მაგრამ მეშადი მამედის სიტყვა ტყუილი გამოდგა და პოლიციელი უკან დაბრუნდა. ეხლა პოლიციელთან მივიდა სოფ. სარაის მცხოვრები ყასუმ-ქერბალაი-მასუმ-ოღლი და უთხრა, წამოდი, შემახიის ქუჩაზე ერთს ქარვასლაში ჰაღალდსა თამაშობენო, მაგრამ პოლიციელი არ გაჰყვა, შემახიის ქუჩის მეთვალყურობა ჩემი მოვალეობა არ არისო.

მედუქნემ ჰუსეინ გულიმ სთქვა: 14 ნოემბერს, საღამოს 10 საათზედ, ჩემს დუქანში შემოვიდა ფათახი, პაპიროსი იყიდა და წავიდა. აქვე, ქუჩაში, ფათახს ელოდდა მეშადი მამედ ბეგი. ამათ წასვლის შემდეგ დუქანი დავკეტე და დავიძინეო. ღამე რევოლვერის ხმა მოგესმა, ავდექი, გავაღე კარები და

*) იხ. „ივერია“ № 37,

ერთი ხომ გუშინ მოკვდა, მე თითონ მოვკალი, აი ასეო! სთქვა და გაისროლა რევოლვერი ფანჯარაში. მატარებლის ხმაურობაში რევოლვერის ხმა ისე გარკვევით არ გაისმა, მხოლოდ ჩვენი ვაგონი ბოლით აივსო.

— „მე იმიტომ გიამბეთ ეს ამბავიო, განაგრძო მან,—რომ მინდა დაგარწმუნოთ, რომ შეშლილებისა არ მეშინიან. აბა ერთი იმღერეთ რამე ოპერიდგან, გთხოვთ.

— „ხმა არა მაქვს,—მღერა სულ არ ვიცი-მეთქი. შევბედე შეშლილს ნელის ხმით.

„ნუ სტყუით, ძალიან კარგი ხმა გაქვთ, მხოლოდ ჩემი გასულელება გწადიანთ სხვებსავითაო! საშინლად დამიღრიალა შეშლილმა, მერე ნელის ხმით, თითქმის ტირილით განაგრძო: ისინი შაბიამანით მაბანებდნენ! მძულს საშინლად ისინიცა და იმათი ბანებაც. შემდეგ გონება კვლავ აერია და სიაფთრე ისევე დაუბრუნდა.

— იმღერეთ-მეთქი! ნუ უყურებთ ნურც ზარს, ნურც ფანჯარას! იცოდეთ, რომ ჩვენ ახლოს არავინ არის. იმღერეთ, მე მუსიკის დიდი მოყვარე ვარ! რევოლვერი დამიპირდაპირა და სთქვა:

— „აბა ჩქარა, ათამდის დავთვლი, ერთი, ორი, სამი!...

„შვიდამდისაც აღარ დავაცადე, საშინელის ხმით დავიწყე ბალბრუგის არიის სიმღერა. შეშლილს კმაყოფილება გამოეხატა სახეზედ.

— „არა უჭირს-რა, ძალიან კარგია! მაგრამ ფრინვა არ იცით?

„საშინელმა შიშმა ამიტაცა, პასუხი ველარ მოვახერხე.

— „ფრინვა, ჰაერში ფრინვა არ იცით? ის იყო სიკვდილს მოველოდი, მაგრამ მაინც პასუხი მივეცი.

— ,,თუ თქვენ არ იცით ფრენა, მე ვიციო.

,,რაღაცა იმედმა გამიარა გულში და სახეზედ გაოცება შევიმჩნიე. დაცინვით შემომხედა და მითხრა: კარგად ვიცი, რასაცა ჰფიქრობთ, იქნება გგონიათ, არა მესმის-რა, თავს ნუ გაიმართლებთ! ჩუჰო? ისევ გაისროლა რევოლვერი შეშლილმა: აგერ, თქვენი აზრი მოვკალი.

— ,,თქვენა ბძანეთ, ფრენა ვიციო, ნეტავი მაჩვენა, რა კარგი სანახავი იქნება!

შეშლილი სიხარულით აენთო თვალები:

— ,,აბა მიყურეთ! კარები გაალო, გამოექანა, უცბად შედგა და ეჭვით მკითხა: ექიმი ხართ? მაგრამ, რას ვამბობ, ცილი დაგწამეთ, ექიმი-კი არა, თქვენ ხომ შეშლილი ხართ! კიდევ კარგია, რომ ფრენა ვიცი, შეშლილების სასარგებლოდ შევისწავლე ფრენა; ეხლა ისინიც მოახერხებენ ტყვეობიდგან გამოსვლას და დარაჯსაც გაუადვილებენ სამსახურს. ჩემი აღმოჩენა ერის კეთილ-დღეობას დიდად წარუმართავს ხელს. იქით მხარეს გავფრინდები, საითაც მატარებელი მიდის და გარწმუნებთ, თქვენზედ ადრე მივალ მინტეროში. აბა მიყურეთ!

საშინლად შემებრალა საწყალი.

—„მოითმინეთ! ისეც, მჯერა-მეთქი, შევძახე: სადგურში რომ მივალთ, იქა სჯობია, იქ ყველა გაიკვირვებს თქვენს ფრენას. სადგურის უფროსი ქუდს ჰერში აისვრის, სხვები ვაშას შესძახებენ.

— ,,ოჰ, რა კარგი აზრი მოგივიდათ. ხომ მალე მივალთ სადგურზედ, რა კარგია-და! როგორ გავაკვირვებ მთელს ქვეყანას! სიხარულმა აიტაცა შეშლილი. სწრაფად გაიძრო წაღები და ფანჯარაში გადაისროლა, მერე სხვა ტანისამოსიც იმას მიაყოლა, პერანგის ამარად დარჩა. ,,მატარებელმა დაუსტვინა და შესდგა.

— ,,ხალხო, მიყურეთ, მივფრინავო! ჰღრიალებდა შეშლილი და გადავარდა ფანჯრიდგან ექიმისა და დარაჯის ხელში, რომლებსაც დეპეშით გაეგოთ შეშლილის საავადმყოფოდგან გამოქცევის ამბავი.

— „აბა, ძმობილო, ამ ამბის შემდეგ, მოდი და ბედნიერებად ნუ ჩასთვლი იმ გასიებულს ოჯახობას და თითონ გასუქებულ ძაღლსაცკი?!.. სთქვა დასასრულ რევოლიმ.

ა. მ—ი-

დავინახე, რომ ჩემ წინ ორმა კაცმა გაირბინა. ერთი ვიცანი, ფათახი იყო. ხელში რევოლვერი ეჭირა. მეორე კაცი-კი ვერ ვიცანი. ეს ორთავე თათარი უნახავს მამედ-ჰუსეინოვსაც. ფათახი უცვნია, მეორე კაცი-კი ვერა.

გამოძიებამვე აღმოაჩინა, რომ კლუბიდგან სტაროსელსკის სახლამდე მეორე გზაც ყოფილა, უფრო მოკლე, ასე რომ ამ გზით კაცი სამის წუთით უფრო ადრე მივა, ვიდრე იმ გზით, რომლითაც სტაროსელსკი წაიყვანა მეეტლემ ზაიცევმა.

მოწმების ქიაზუმ მურადისა, სამალ-ჯაბრაალისა, ჰასან და ჰაჯი მამედის ჩვენება ამით მტკიცდება, რომ სტაროსელსკის მოკვლის ღამეს გიულ ყასუმი გადახტა კიაზუმის სახლის ღობეზედ და ითხოვა აქ გამათენებინეთ ღამეო. ამაზედ უარი უთხრეს და მაშინ მანდრიას ქარვასლაში წავიდა. ამ მოწმების ჩვენებით მტკიცდება, რომ გიულ ყასუმს ხშირად ფულს აძლევდა ხოლმე მამედ რზა ბაკიხონოვი.

პოლიციის მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ ბაკიხონოვი ძლიერ საეჭვო კაცია, ქრთამით ავაზაკებს ხალხს აკვლევინებდა: სხვათაშორის მასთან ძლიერ იყვნენ დაახლოვებულნი მეშადი-მამედ-ბექი, ქერბალაი ჰუსეინი, ფათახი და გიულ ყასუმი.

ბრალდებულნი ყველანი უარს ამბობენ, სტაროსელსკის მოკვლის საქმეში არაფერი დანიშაული არ მიგვიძღვისო. მეშადი-მამედ-ბექმა 16 ნოემბერს 1895 წელს უთხრა გამომძიებელს, 14 ნოემბერს, საღამოს 5 საათიდგან არტემიევის დუქანში ვქეიფობდი, მერე საროსკიპოში ვიყავი და სახლში ღამის ორ საათზედ დავბრუნდიო. 1896 წელს 2 იანვარს-კი სთქვა, 16 ნოემბერს ბაბის დუქანში ვქეიფობდით მე და ფათახი. მერე სეროფის დუქანში წავედით. აქედგან საღამოს $10^1/_2$ საათზედ, საროსკიპოში წავედი და შინ მალე დავბრუნდი. გზაში ფათახი შემომხვდა და მითხრა, ჰუსეინ ყულის დუქანთან ბაკიხონოვი სდგას და შენ გეძახისო. მე მიველი ბაკიხონოვთან, რომელმაც მითხრა, წადი კლუბში და შეიტყე, „რუსი ვექილი“ იქ არის, თუ არაო. მე მისი თხოვნა შევასრულე და ბაკიხონოვმა დამითხოვა. შინ რომ მივდიოდი, დავინახე, რომ ბაკიხონოვთან ორი კაცი მივიდა ბექირი და ყულამი. ორთავენი ბაკიხონოვს მოშორდნენ და „ზევით“ წავიდნენ. მერე პოლიციელ აბიდულასთან მიველი. აქვე მოვიდა გიულ ყასუმი, რომელიც უწინ ბაკიხონოვთან მსახურობდა და ვუთხარით პოლიციელს, ერთს ქარვასლაში ქაღალდსა თამაშობენ და წამოდი, დაიჭირეო. პოლიციელი არ წამოგვყვა. მერე შინ წავედი. მეორე დღეს ბაკიხანოვმა გამომიგზავნა ფათახი და გიულ-ყასუმი და შემომითვალა, რაც წუხელი ნახე და გაიგონე, „არსად სთქვაო“.

ფათახ-აქიმ-ოღლიმ სთქვა, 14 ნოემბერს ღამე მე და ერთი ურია ლევინი დუქნებში ვქეიფობდით და მერე ამ ლევინთან მეძინაო.

გიულ-ყასიმმა სთქვა, მე არაფერში ვარ დამნაშავე, მთელი ღამე საერობო დარაჯთათვის დანიშნულ ალაგას ვიყავიო.

ქერბალაი-ჰუსეინ-მეშადიმ უთხრა გამომძიებელს, ამ საქმეში არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, 14 ნოემბერს მთელი ღამე სახლში ვიყავიო.

მამედ-რზა-ბექ-ბაქიხანოვმა სთქვა, მე ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და რაც მეშადის უთქვამს, სულ ტყუილია. მაგას მტრობა აქვს ჩემთან, რადგანაც პოლიციამ, ჩემის თხოვნით, ბაქოდგან გადაასახლაო.

იბრაიმ ალექპერმა სთქვა, სტაროსელსკისთან არაფერი მტრობა არა მქონია. სასამართლოში რომ საქმეს აწარმოებდა სტაროსელსკი, მორიგებით გავათავეთ და ამის შემდეგ ჩემის ძმის აზიზის საქმეც ჩავაბარე საწარმოებლადაო.

ზემოხსენებულ ოქმის ძალით სამართალში არიან მიცემულნი: მეშადი-მამედ-ბექი — 27 წლისა, ფათახ-ჰაქიმ-ოღლი — 32 წლისა, გიულ-ყასუმი — 25 წლისა, ქერბალაი-ჰუსეინი — 32 წლისა, ბაქიხანოვი — 40 წლისა, მანაფ-ამიძი — 40 წლისა და იბრაჰიმ-ალექპერი — 47 წლისა.

(შემდეგი იქნება)

—

3 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა გუბერნსკი სეკრეტარის ნიკოლოოზ კურატოვის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა პლატონ აბდუშელიშვილის სასიკვდინოდ დაჭრა. დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი დანიელოვი. სასამართლომ საქმის განხილვის შემდეგ ბრალდებული უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა.

—

დღეს, 4 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად ნ. გადაგიშვილის საქმე, რომელსაც ჰბრალდება თავისის ცოლის მოკვლა. დამნაშავე მეტეხის ციხეშია დაპატიმრებული.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** ერთს რუსულს გაზეთში დაწვრილებითი ცნობებია მოყვანილი, საბერძნეთის გაზეთები რა აზრისანი არიან კრიტის საქმის შესახებ.

გაზ. „პრაია“ ამბობს: ამბობენ, — თუ საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა ომი ატყდა, ეს ევროპის მშვიდობიანობას განსაცდელში ჩააგდებსო. ჩვენ სრულიად არ გვესმის ესა. ჩვენ მხოლოდ სამართლიანობას ვთხოულობთ ევროპისაგან და ეხლავე ვაფთხილებთ, რომ თუ ჩვენს კანონიერს მოთხოვნილებას ყურადღება არ მიაქცია და საბერძნეთის საერო საქმეს კვლავაც უსამართლოდ მოეკიდა, მშვიდობიანობის დაცვა ყოვლად შეუძლებელი იქმნებაო.

გაზ. „ასტა“: კრიტის თვით მმართველობა მხოლოდ დიპლომატიური პალიატივია; იგი ან სისულელეა და ან კომედია და მეტი არაფერი. ჩქარა დარწმუნდებიან, რომ იგი თვით-მმართველობა ვერავის ვერ დააკმაყოფილებს და კრიტში ეხლანდელზედ უფრო მეტი უბედურება დატრიალდებაო.

გაზ. „ნეო — ემერი:“ შეიძლება ევროპამ საბერძნეთის ალაგმვა მოახერხოს; იმდენი ძალ-მომრეობა იხმაროს, რომ საბერძნეთი იძულებული ჰყოს, — უკან დაიწიოს, მაგრამ ამასვე კრიტელების შესახებ ვერ მოახერხებს ისაო.

გაზ. „ემბროსი“: გარდავიწეროთ პირჯვარი! წავიდეთ წინ! ღმერთი ჩვენკენ არის და არაფრის არ უნდა გვეშინოდეს!

გაზ. „კეპრი“ და „ჩესტია“: თუ ევროპის დიდ სახელმწიფოებმა კრიტზედ ხელი აგვაღებინეს, მაშინვე მაკედონიასა და ეპირში არეულობას მოვახდენთ, საცა დიდ სახელმწიფოთა ზარბაზნების ნაღმი ვერას დაგვაკლებსო.

გაზ. „ნეა-ეთიმერისი:“ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა ერთობილს ნოტაზედ დიდს სახელმწიფოთ ისეთს პასუხს მისცემს, რომელიც ერის საერთო სურვილს დააკმაყოფილებსო.

—

ინგლისის პარლამენტის 100 დეპუტატს და მათ შორის რამდენიმეს მინისტრად ნამყოფს ათინაში დეპეშა გაუგზავნიათ, რომელშიც მოხსენებულია — საბერძნეთმა რა სამსახურიც გაუწია ცივილიზაციას. იმავე დეპეშაში სურვილი არის გამოცხადებული, რომ საბერძნეთმა კრიტის საქმეებში გაიმარჯვოს და საზოგადოდ ყოველ გვარ კეთილ-წარმატებას მიაღწიოსო.

ერთი ინგლისური გაზეთი ამბობს: ადვილად შესაძლებელია, რომ ელინთა სასარგებლოდ საერთო მოძრაობამ ლორდი სალისბერი იძულებულიჰყოს ევროპის კონცერტს თავი დაანებოს და განაცხადოს, რომ ინგლისი არავის ნებას არ მისცემს, საბერძნეთის წინააღმდეგ ძალა იხმაროს და ამ თავმოყვარე პატარა სამეფოს სამზღვრები შეზღუდოსო. ეჭვს გარეშეაო, დასძენს გაზეთი, რომ ასეთი სიქციელი ძლიერ კარგი იქმნებოდა და ბევრად ემჯობინებოდა ეხლანდელს გამოურკვეველს მდგომარეობასაო.

## ინგლისის საღმრთო წერილის საზოგადოება.

1804 წელ. ბრიტანიაში დაარსდა ეგრედ წოდებული „ბრიტანიის საღმრთო წერილის საზოგადოება“, რომელსაც საგნად აქვს საღმრთო წერილის სხვა-და-სხვა ენაზედ თარგმნა დ ხალხში გავრცელება. ამ საზოგადოებას 330 სხვა-და-სხვა ენაზედ აქვს დაბადება გადათარგმნილი სრულად თუ ნაწილ-ნაწილ. თითქმის მთელის ქვეყნიერობის ყველა მხარეში იღწვის ეს საზოგადოება. 1000-ზე მეტი ქალი და კაცი ჰმუშაობს ამ საქმისთვის, რომელთა ყურადღება განსაკუთრებით ინდოეთისა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ქვეყნების დედაკაცებზეა მიპყრობილი. საზოგადოების მიერ გამოცემული დაბადების სხვა-და-სხვა წიგნები 1845 წელ. 4,000,000 ცალამდის გავრცელდა. ამ რიცხვში მარტო რუსეთის იმპერიაში გავრცელდა 550,000 ცალი. ხსენებულს წელში საზოგადოებას ასამდის სხვა-და-სხვა ახალი თარგმანი ჰქონია. ტფილისში რამდენიმე მცოდნე ქართველს დაევალა შექმნის (მოსე წინასწარმეტყველის 5 წიგნი), დავითნისა და ახალის აღთქმის ტექსტის შესწორება, რომ ეს წიგნები შესწორებული დაებეჭდა საზოგადოებას. ქართული სახარება და დავითნი საზოგადოებამ დიდი ხანია გამოსცა და ამ ჟამად, როგორც ვიცით, მთელის დაბადების გამოცემას აპირებს, როცა ეს განსაკუთრებულ კამისიის მიერ შესწორებული იქმნება.

ხსენებული საზოგადოების ტფილისელ განყოფილებას 1896 წ. 15,875 ცალი წიგნი გაუყიდნია შემდეგს ენებზედ დაბეჭდილი: რუსულად 7321 ცალი, სლავიანურად 956 ც., სლავიანურ რუსულად 825 ც., ქართულად 2057 ც., სომხურად 1025 ც., პოლონურად 954 ც., ებრაულად 825 ც., გერმანულად 612 ც., სპარსულად 313 ც., ბერძნულად 156 ც., ოსმალურად 154 ც., თათრულად 344 ც., ფრანგულად 97 ც., არაბულად 83 ც., ლატიშურად 37 ც., ინგლისურად 23 ც., ლათინურად 13 ც., სირიულად 11 ც., ჩინურად 9 ც., ესტონურად 9 ც., გინდი, კოსიტხურად 8 ც., იტალიურად 5 ც., კალმიკურად 5., ბოლგარულად 4 ც., ჩეხურად 2 ც., ჰოლანდიურად 1 ც., დანიურად 1 ც., ისპანურად 1 ც., პორტუგალურად 1 ც., რუმინულად 1 ც. სერბიულად 1 ც., შვედურად 1 ც. უნგრეთულად 1 ც. და პაშტუ-ავღანურად 1 ც. ბრმათათვის რუსულს, სომხურს, არაბულს და გერმანულს ენებზედ 15 ცალი.

ახლად გამოცემული ახალი აღთქმა, რომელიც საზოგადოებას თერთმეტი აბაზი დაუჯდა, შეიდშაურად ჰყიდის. საზოგადოდ ყველა ქართული გამოცემა იაფად იყიდება, მაგალითად, ახალი აღთქმა ორი აბაზიდგან ერთს მანეთამდის ფასობს, ოთხი თავი სახარება — სამი შაური, თითო თავი სახარება — ერთი შაური და დავითნი 10 — 25 კაპეიკად.

## დამაკვირდი

(ვეისი)

იგი სიცოცხლე-ცხოვრება, რომელიც ერთს კმაყოფს, ხშირად მეორისათვის სანატრელია.

***

თავ-მოყვარეობა თავისთავად არც კეთილია, არც ბოროტი. საქმე ის არის, ვინ რაში ჰხმარობს თავ-მოყვარეობას, რაზედ იგი მიმართული.

***

ცოცხლად ყოფნა გრძნობით ყოფნაა და ამიტომ იგი მეტად ცოცხალა, ვინც მეტადა ჰგრძნობს.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ჩვენ ერთხელაც გვიუწყებია მკითხველისათვის რა გონიერი რამ არის პირუტყვთა შორის სპილო. ბევრს რასმე სწერენ სპილოს ჭკუა-გონებისას და მართლადაც გეგონებათ ადამიანთანა გაქვთ საქმე და არა პირუტყვთანა, როცა ამ ამბებს კითხულობთ. აი ამისი საოცარი მაგალითები: ინდოეთში გვალვა იყო ერთს ადგილას ასე, რომ ბევრი წყლები და ჭები დაშრა. ერთს დიდს ჭას მაინც ცოტა ოდენი წყალი შერჩა და, რასაკვირველია, მთელი ხალხი იმას ბუზსავით დაეხვია, ზოგს საშინაოდ წყლის წაღება უნდოდა, ზოგს საქონლისათვის დალევინება და რადგანაც ტევა არ იყო, ყველა თავის რიგს ელოდდა. ამ ჭაზე მოვიდა ორი კაცი თავისის სპილოებით. ერთი სპილო დიდი და ღონიერი ყოფილა, მეორე იმაზე მომცრო და უფრო უღონო. მომცროს ხორთუმით კასრი ეჭირა წყლისათვის. დიდს კასრი არა ჰქონდა და თავისის პატრონის ბძანებით მივიდა და წაართვა მომცროს კასრი. მომცრომ შეატყო, რომ ღონით ვერას გახდება და ჯავრის ამოყრა ვერ გაბედა, თუმცა ეტყობოდა, რომ ამისთანა ძალ-მომრეობა ეწყინა. სპილოების პატრონებს-კი ჩხუბი აუტყდათ და ბოლოს ცემაზედაც-კი მიდგა საქმე. ესენი რომ ამ ამბავში და ცემა-ტყეპაში იყვნენ, მომცრო სპილომ დრო იგდო ხელთ და როცა ჭის პირად მდგომარე დიდი სპილო დაინახა, დინჯად უკან უკან დაიხია მითამ აქ არაფერიაო, მერე უეცრად ეცა დიდს სპილოს, ჰკრა თავი და შიგ ჭაში კი ჩააგდო. ასე ამოიყარა ჯავრი. ხოლო საქმე ამით არ გათავდა.

ჭაში ჩავარდნილს სპილოს ამოყვანა უნდოდა და მოდით და ის უზარმაზარი პირუტყვი ამოიყვანეთ. ადამიანი უმანქანოდ ამას ვერ იქმოდა, თუ თვითონ სპილოს საზრისს არ ეშველნა. ჭაში დაუწყეს ფიჩხის კონების ყრა. სპილო მიხვდა, რომ ამ გზით უშველის თავს. აუღია და რამდენიც კონა ჩაუგდიათ, იმდენი ფეხ-ქვეშ გაუშლია და თვითონ ზედ დამდგარა, ახლა მეორე, ახლა მესამე და ამ რიგად კიბესავით რაღაც გაუკეთებია და ამოსულა.

ერთი საკვირველი სპილო ყოფილა, რომელსაც სახელად ჩენი ჰრქმევია. 1810 წ. იგი სპილო უყიდნია და ლონდონში მიუყვანია ერთს თეატრის პატრონს. უშველებელი რამ პირუტყვი იყო თურმე. თეატრის პატრონს უფიქრია, — ერთს რომელსამე წარმოდგენაში როგორმე სპილოსაც მონაწილეობას მივცემო და ბევრი ხალხი დაეცემა წარმოდგენასაო. უფიქრია და მოუხერხებია კიდეც. ისე მოუწყვია წარმოდგენა, რომ ერთი აქტრისა ამ ბუმბერაზზე უნდა შემჯდარიყო და ხიდს გასულიყო. რა თქმა უნდა, ჯერ რეპეტიციაზე უნდოდათ ეს ამბავი ესინჯათ და ენახათ სპილო ხომ არ იხამებსო.

აბა სათეატროდ გადებულს ხიდს რა სიმაგრე ექნებოდა და ჭკუიანმა პირუტყვმა ჯერ მინამ ხიდზე გავიდოდა, ფეხით გასინჯა დამიმაგრებს თუ არაო და რა იგრძნო სისუსტე ხიდისა, უკან დაიწია და შედგა. ეგონათ ჭირვეულობს და ჯიუტობსო და ცემა დაუწყეს. უზარმაზარი პირუტყვი თავჩაღუნული იდგა და უდრტვინველად ითმენდა ცემას, მარტო უშველებელ ყურებს იქნევდა. საწყალს წვეტიან რკინის ჯოხით სჩხვლეტდნენ ყურის ძირში, საცა უფრო სატკივნელი და საგრძნობელია სპილოსათვის, აგება გაიაროსო. ასე გაუხადეს საქმე, რომ ჩხვლეტისაგან სისხლი წასქდა და მის გარშემო თითქმის გუბე დადგა სისხლისა. სპილო მაინც ადგილიდგან არ დაიძრა.

ამ დროს შესულა აქტიორი ჩარლზ იუნგი, ძალიან მოყვარული ყოველ პირუტყვისა. ეს მიუხვდა რატომ ურჩობს სპილო და ცხარედ გამოესარჩლა, რადა სცემთ საწყალს პირუტყვსაო. მივიდა სპილოსთან იუნგი, დაუყვავა, უალერსა და როცა კიდევ მოუღერეს წვეტიანი რკინის ჯოხი საჩხვეტლად; წასწვდა და ჯოხი წაართვა ხელიდამ. ამასობაში შემოსწრებია იმ ხომალდის კაპიტანი, რომლითაც სპილო მოეყვანათ ინდოეთიდამ. კაპიტანს გზაზე ძალიან შეჰყვარებია ეს ჭკუიანი სპილო და ხშირად უყვავებია და უნებიერებია. უკითხავს, რა ამბავი არისო და მინამ ეტყოდნენ, თვითონ წვალებულს სპილოს უცვნია თავისი კეთილმყოფელი და მაშინვე მისულა იმასთან. ხორთუმით გამოურთმევია ხელი, კისერზე, საცა ჩხვლეტისაგან სისხლი სდენია, კაპიტანის ხელი მიუტანია და მერე თვალებზე და ისეთის სახით დაუწყვია ყურება, თითქო ევედრება დამიხსენ წვალებისაგანაო.

ყველას ამის ნახვაზე გული ამოსჯდომია. თვითონ თეატრის დირექტორსაც-კი, რომლის ბძანებითაც ასე ულვთოდ ექცეოდნენ სპილოს, ცრემლი მოჰრევია. სინანულის ნიშნად მაშინვე გავარდნილა დირექტორი გარედ, უყიდნია ვაშლები და უძლევია სპილოსათვის. სპილოს გვერდ-გვერდ შეუხედნია, გამოურთმევია ვაშლები, ფეხ-ქვეშ დაუსრესია და შორს გადუყრია ფეხით. მერე შემოუტანია ვაშლი აქტიორს იუნგსა და როცა მიუწვდია სპილოსათვის, სპილოს გამოურთმევია, სულ მთლად შეუჭამია, მერე ხორთუმი მოუხვევია ტანზე იუნგისათვის და ამ ალერსით უსიტყვოდ უნიშნებია, რომ თუმცა ავი მახსოვს, მაგრამ არც კეთილს ვივიწყებო.

ერთხელ ამ სპილოსვე, რომელსაც ჩენის ეძახდნენ, ერთი თავ-ქარიანი ფრანტი ასტეხია და გაჯავრება მისი სდომებია. ამ ვაჟბატონს სცოდნია, რომ ჩენის ძალიან ეჯა-

ვრება სალათა და ამით აჯავრებდა თურმე. როცა ამ სულელისათვის სპილოს ყური არ უთხოვებია, ახლა სხვა გზით შესდგომია წყენას პირუტყვისას. აუღია და ვაშლი უძღევია და იმ წუთს, როცა სპილოს ხორთუმი გამოუწოდებია ვაშლის გამოსართმევად, ფრანტს დიდი ქინძისთავი ხორთუმში გაუბნევია დ˚ თვითონ განზე გახტომია. სპილოს მომვლელს შეუმცნევია, რომ სპილო ჯავრობს, გაუფრთხილებია ის სულელი კაცი, სპილო ჯავრობს, გაეცალეო. ფრანტი გასცლია, მიუვლ-მოუვლია იქავ ახლო-მახლო, დავიწყებია გაფრთხილება და ისევ სპილოსთან მისულა ბოლოს და აქ შეუქცევია ზურგი სპილოსათვის და დაუწყვია ვიღასთანლაც ლაპარაკი. სპილოს გადაუწვდენია ხორთუმი, მოუხდია თავიდამ შლიაპა, საშინლად დაუქმუჭნია და მერე შიგ თავ-პირში მიუხლია. ამ საქციელს გაუოცებია ფრანტი და სპილოს-კი სიხარულით ღრიალი დაუწყვია, რომ ჯავრი ამოიყარა.

ინგლისის ჟურნალში „Nature“ ერთი მოგზაური სწერს: მე ჩემის თვალით მინახავს, რომ ერთი ახალგაზდა სპილო მოვიდა ღობესთან და მარგილი მოგლიჯა. მარგილს ფეხები დაადგა, ნაჭერი მოსტეხა პირთან მიიტანა და გადააგდო. ორჯელ-სამჯერ ასე ჰქმნა. ბოლოს ერთი ნატეხი მარგილისა მოიწონა. ერთი ფეხი წინ გაიწოდა და იღლიის ქვეშ ამოიტარა და მით ღონივრად ფხანა დაიწყო. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დავინახე თითის სიმსხო გძელი წურბელა ძირს დაცემული. თურმე წურბელა როგორღაც მოჰკიდებოდა და თუ სპილოს ამისთანა სამურველი არ მოეგონა, წურბელის აგლეჯა ძალიან ძნელი იყო.

მეორედ მივდიოდი გზაზე, ამბობს იგივ მოგზაური და იმ სპილოს, რომელზედაც ვიჯექ, უშველებელი ბუზები ასხდნენ და აწუხებდნენ. სპილო რომ აბეზარს მოვიდა, გზას გადაუხვია, მოამტვრია ხისაგან კარგა შეფოთლილი მოზდილი შტო, გასწმინდა, თითქო ადამიანიაო, გააცალა ფოთოლი, შეარჩინა მარტო კოჩორი, მოსტეხა რამოდენაც უნდოდა და მთელს გზაზედ ამას ხმარობდა მარაოსავით.

ერთ ინგლისელს მკურნალს სთხოვეს ცეილონის კუნძულზე სპილოს უწამლეო, რომელსაც დაიარებული ჰქონდა დიდისხნიდამ ზურგი. მკურნალს უნახავს, რომ იარა ამოეჭრა უნდა და შეჰშინებია სპილოსი, არ მიმიშვებსო, პატრონს დაუჯერებია, სპილო არას გერჩისო და ესეც შესდგომია საქმეს. პატრონს უბძანებია და სპილო მაშინვე მუხლის თავებზე დაშვებულა, მკურნალი ამბობს: „სპილო არამც თუ მიშლიდა დანის ხმარებას, თვითონვე მომიშვირა მტკივნეული ზურგი და როცა ვჭრიდი დაიარებულ ხორცსა მარტო ხმა დაბლა ხვნეშოდა თითქო თავს იმაგრებსო. ერთის სიტყვით, ისე იქცეოდა, როგორც ადამიანი, თითქო ესმოდა (და მე დარწმუნებული ვარ რომ ესმოდა), რომ მისის მორჩენისათვის ეს აპერაცია საჭიროაო და ტკივილი უნდა ითმინოს.

ორი მეცნიერი ბინგლეი და რომანსი მოგვითხრობს შემდეგს: უკანასკნელ ომში ინდოელებთან ერთი პატარა სპილო მძიმედ დაიჭრა თავში. ტკივილისაგან ისე გამწვავდა და გაბნედიანდა, რომ ახლო აღარავინ მიიკარა საშველად. ვინც-კი დააპირებდა მისვლას, რომ წყლული შეუხვიოს, გააფრთებოდა დი ახლო არ უშვებდა. ბოლოს ერთმა კაცმა, რომელსაც ის პატარა დაჭრილი სპილო ებარა, ერთი ღონე იღონა. სიტვითა და ნიშნებით გააგებინა პატარა სპილოს დედას რაშია საქმე. ჭკუიანმა პირუტყვმა დედამ ჩაავლო ხორთუმი თავისს შვილს და თუმცა ბევრსა ბღაოდა მისი შვილი, მაგრა ეჭირა შებოჭვილი, ვიდრე მკურნალმა არ მოჰბანა ჭრილობა და არ შეუხვია. ასე იქცეოდა დედა სპილო ყოველ დღე, ვიდრე შვილი მისი არ მორჩა“.

უფრო კაი ამბავს მოგვითხრობს ერთი მოგზაური ტენნენტი, ბუნების მეტყველი: „ერთხელ საღამოს ჟამს ცხენით მივდიოდი ტყეში. ეს იყო ცეილონის კუნძულზე, კანდის ახლო. უეცრად ცხენი შეფრთხვა და გაჩერდა, რადგანაც რაღაც ხმა მოესმა დაბურულ ტყიდამ და შრიალი. როგორც იყო ცხენი გავატარე და რომ შრიალს ახლო მიუვედი, იქ შევიტყე, რომ დაშინაურებულ სპილოს ხმა იყო. სპილოსათვის პატრონს მძიმე სამუშაო მიეცა და თვითონ-კი წასულიყო. სპილო წვალობდა უშველებელ ძელი გამოეტანა ტყიდამ და რადგანაც გამოსავალი ბილიკი ვიწრო იყო, ხან ძირს დაუშვებდა ძელს, ხან ალმაცერად ატრიალებდა და ისე მოჰქონდა, რომ ხეებსა და ბარდებს არ მოსდებოდა. ეს წვალება მეტად ემძიბებოდა სპილოს და გულზე მოდიოდა. დაგვინახა ჩვენ თუ არა, ჭკუიანმა პირუტყვმა თავი მაღლა აიღო, დაგვათვალიერა, დააგდო ძირს ძელი და უკან-უკან დაიწია, რომ გზა მოგვცეს. ჩემი ცხენი ფხოდა და ამ ზრდილობიანს საქციელს ვერა ჰნდობოდა. სპილომ იგრძნო ეს და უფრო შორს დაიხია, რომ ცხენს აღარ გამოუჩნდეს, თუმცა თავისებურად ჰღრუტუნებდა, მაგრამ ისე გულ-კეთილად, თითქო გვახალისებდა, ნუ გეშინიანთო. ცხენი შიშით მაინც ადგილიდამ არ დაიძრა. მე დიდის დაკვირვებით ვუყურებდი ამ ორ ჭკუიან პირუტყვების ქცევას, ვნახოთ როგორ მოჰრიგდებიან მეთქი და ამათს საქციელში არ ვერევოდი. სპილომ უფრო შორს დაიწია და მოუთმენელად იცდიდა, ვიდრე გავივლიდით. ბოლოს როგორც იყო ჩემმა ცხენმა გაჰბედა ბილიკზე გავლა შიშითა და კანკალით. წინ მოვექეცი თუ არა სპილოს, იგი მაშინვე გამოვიდა თავის საფარიდამ, წაავლო ხორთუმი ძელს და განაგრძო თავისი მძიმე საქმე“.

ბევრი სხვა ამბებია სპილოზედ, ვინ მოსთვლის. ესეც საკმარისია, კაცმა გული დააჯეროს, რომ პირუტყვიც სულიერი, გონებიანია, საზრისიანი, ავისა და კარგის დამნახველი და ზოგჯერ ზოგიერთს ბრიყვ ადამიანზე უფრო სულ-გრძელი, თავაზიანი და მოსიყვარულე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მარტი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული 28 თებერვალს ბრძანდებოდა პეტრე-პავლეს ტაძარში და ილოცა იქ, სადაც მის განსვენებულის მეუღლის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ტაგრუცი იმყოფება.

1 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცებმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და მარიამ თეოდორეს ასულმა წმიდა საიდუმლო მიიღეს.

1 მარტს, ბეტრე-პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აკრძალულ იქმნას გაზეთ „რუს“-ის პირველ გამოცემის ცალკე ნომრების გაყიდვა.

**პარიზი.** აქაურ ოფიციალურ წრეებში ერთხმად აქებენ ენერგიულს პოლიტიკას რუსეთის მთავრობისას, რომელიც სცდილობს ისე გადასწყვიტოს კრიტის საქმე, რომ არც საბერძნეთი დარჩეს ნაწყენი, არც ბრძოლა იქმნას გამოწვეული და დიდ სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობა სუფევდეს.

**ლვოვი.** მართლმადიდებელთა ორი მღვდელი დაპატიმრებულ იქმნენ იმის გამო, რომ მცხოვრებლებს აქეზებდნენ საარჩევნო აგიტაციისთვის. 16 კაცი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დავიდოვში მომხდარ უწესოებაში აქაურ ციხეში გამოგზავნეს. გლეხები და მუშები ამათ ქვებს ესროდნენ. გუსარებმა ხალხის ბრბო დაშალეს. ერთი კაცი დაიჭრა.

**ლონდონი.** მთავრობამ შეატყობინა პალატას, საბერძნეთის მთავრობამ შემდეგი წერილი გამოუგზავნა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს: „პასუხად იმ მოწერილობისა, რომელიც გამოუგზავნეს დიდმა სახელმწიფოებმა საბერძნეთის მთავრობას, მოვალეობად მიგვაჩნია შეგატყობინოთ, რომ საბერძნეთის მთავრობა სთხოვს დიდ სახელმწიფოებს, დაავალონ საბერძნეთის ჯარს მოქმედება კრიტის კუნძულზედ და თუ ამაზედ დასთანხმდნენ დიდნი სახელმწიფონი, საბერძნეთის მთავრობა დიდის სიამოვნებით იკისრებს ამ კუნძულზედ თავის ჯარისა და შეერთებულ ესკადრათა რაზმების ერთად მოქმედებას. გარდა ამისა, თუ დიდნი სახელმწიფონი დასთანხმდებიან, რომ კრიტის საქმე ადგილობრივ მცხოვრებთა სასარგებლოდ გადასწყდეს, ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, რომ ვიდრე ეს საქმე გადასწყდებოდეს, კრიტი სულთანის მფარველობის ქვეშ იყოს.

**ლონდონი.** აქ დაბეჯითებით ამბობენ, რომ დიდ სახელმწიფოებს გარდაწყვეტილი აქვთ, პასუხი არ გასცენ საბერძნეთს მის მიერ გამოგზავნილ ნოტაზედ და დაუყონებლივ შეუდგნენ ძალდატანების ღონისძიებას. უპირველეს ყოვლისა კრიტს ალყას შემოარტყავენ.

**ლონდონი.** გაზეთს „Times“-ს დეპეშით სწერენ ათინიდგან: „სამხედრო მინისტრმა „Times“-ის ერთ კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს სთქვა, სასტიკად აკრძალული გვაქვს, რომ საზღვრებზედ მყოფი საბერძნეთის ჯარი ერიდოს ისეთს მოქმედებას, რომელიც მტერს საბრძოლველად გამოიწვევსო.

კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით იუწყებიან, ოსმალეთსა და ელჩებს ამბავი მისვლიათ, რომ ევერელში ცეზარეის ახლოს სისხლის ღვრა მომხდარა.. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მისვლიათ.

**კონსტანტინეპოლი.** მურადლიდგან სალონიკში მიმავალი მატარებელი, რომელშიაც რედიფის ჯარის 43 ბათალიონი იყო, მეორე მატარებელს დაეჯახა. ორი ჯარის კაცი და ერთი კონდუქტორი მოკლულ იქმნენ. სუბუქად დაჭრილია 25 ჯარის კაცი.

**კორფუ.** სათადარიგო ჯარის 850 კაცი საზღვარზედ წავიდნენ. ვინც-კი უკანასკნელ წლებში ფულის გარჯახდით განთავისუფლებულ იყო სამხედრო ბეგარისაგან, ყველანი ჯარში მიიწვიეს.

3 მარტი

**პეტერბურგი.** ანიჩკინის სასახლეში იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულს წარუდგა სპარსეთის საგანგებო საელჩო.

**ვენა.** საღამოს გაზეთები, და მათ შორის „Fremdenblatt“-ი, იუწყებიან, რომ რუსეთმა გუშინ ბრძანება გასცა კრიტის წყლებში მყოფ რუსეთის ესკადრის უფროსს, სხვა ესკადრათა უფროსებთან ერთად და იწყე კრიტისა და საბერძნეთის ნავთსადგურების ალყის შემორტყმაო. ასეთი ბრძანება გერმანიისა და ავსტრი-უნგრეთის მხრივ ადრევე მოვიდა. ინგლისი და იტალია მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ა საქმეში. დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთი ასეთსავე ბრძანებას გასცემსო.

**კანეა.** ადმირალებმა დეპეშით აცნობეს თავიანთ მთავრობათ, რომ ზღვის რაზმები გამოგზავნეთ იმდენივე, რამდენიც გადაყვანილ იქმნა კანეასა, რეტიმნოსა, კანდიასა და სიტიაში, რათა ამითი ჯარს საქმე გაუადვილდესო.

**ბელგრადი.** ძველ სერბიიდგან მოვიდა ამბავი, რომ არნაუტთა ბრბომ გაძარცვა ხუთი სოფელი და ერთი მონასტერი და აგრეთვე ცეცხლი წაუკიდა ორს სოფელსაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

6 იანვარს თელავის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ თელავშივე გამართა კნეინა ალექსანდრა ალექსანდრეს ასულმა ვახვახიშვილისამ საცეკვაო საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი დარჩა 52 მან. და 70 კაპ. და დანიშნულებისამებრ გარდაეცა მაზრის უფროსისაგან წიგნთ-საცავის გამგეობას.

უგულითადესს მადლობას უძღვნიან ამ საზოგადო წიგნთ-საცავის გულ-შემატკივარნი კნეინა ვახვახიშვილისას ასეთი კეთილ-მოქმედებისათვის.

ს. მამალაძე.


## განცხადებანი

**1897.** ГОДЪ СЕДМОЙ. **1897.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

## „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“

Въ 1897 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ будетъ издаваться въ своемъ обичномъ объемѣ. Въсоставъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и расказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости.—Историческіе очерки, разсказы и анекдоты —Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

**Съ января 1897 года въ приложеніи будетъ печататься историко-литературная монографія**

**ГЕОРГА БРАНДЕСА**

## ВИЛЛІАМЪ ШЕКСПИРЪ

Исторія его жизни и дѣятельности по его твореніямъ и на оснаваніи критическаго изслѣдованія наилучшихъ источниковъ Шекспирской литературы. *Въ трехъ частяхъ своего труда Георгъ Брандесъ прослѣживаетъ жизнь и творчество Шекспира въ условіяхъ его времени изъ года въ годъ, отъ сочиненія къ сочиненію, и возсоздаетъ яркій образъ этого величайшаго изъ геніевъ всемірной литературы.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1897 ГОДЪ ПРЕЖНЯЯ:**

съ доставкою и пересылкою **4 р** | безъ доставки и пересылки **3 р. 50 к.**

**подписка на 1896 годъ продолжается по той же цѣнѣ.**

**подписка принимается:** въ С.-Петербургѣ — въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, №63, магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (противъ Пажескаго Корпуса); въ Москвѣ — въ Конторѣ Н. Н ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ

„Вѣстникъ Иностранной Литературы“ за 1891, 1892, 1894, и 1895 гг. продается по 4 р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаровъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

## ТАМЪ ЖЕ ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА

НА 144 ТОМА СОЧИНЕНІЙ СЛѢДУЮЩИХЪ ПИСАТЕЛЕЙ:

Э. Зола, Бальзака, Флобера, Ж. Занда, Диккенса, Вальтеръ Скотта Брет-Гарта, М. твэна, Этгара Поэ, Шпильгагена, Гофмана и Эберса.

**ВСѢ 144 ТОМА** будутъ изданы въ теченіе трехъ лѣтъ, по 48 том. въ годъ, т. е. по 4 тома ежемѣсячно, по 320 стран. въ каждомъ томѣ въ 8 д. листа, четкимъ шрифтомъ. Форматъ и шрифтъ - собранія сочиненій Гюи де Мопасана.

*По 15 Ноября 1896 г. вышло 48 томовъ*

**ЦѢНА ТОЛЬКО ПО ПОДПИСКѢ:**

**ЗА ВСѢ 144 ТОМА** безъ доставки **36 Р.,** съ доставкою въ Петербургѣ и съ пересылк. въ друг. города **48 Р.**

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

**Подписчикамъ безъ доставки:** при подпискѣ вносится 15 руб., къ 15 декабря 1896 г. 3 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится 3 р.

**Подписчикамъ съ доставкой и пересылкой:** при подпискѣ вносится 20 руб., къ 15 декабря 1896 г. 4 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится по 4 р.

*По этой цѣнѣ подписка принимается только* **на 5000 экземпляровъ,** *а затѣмъ* ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПОВЫСИТСЯ. *о чемъ будетъ объявлено своевременно.*

*ТАМЪ ЖЕ можно получить* СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ:

ГЮИ ДЕ МОПАСАНА. 2-е изданіе. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

АЛ. ДОДЕ. 12 томовъ Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

В. ТЕККЕРЕЯ. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

ИЗЯЩНЫЕ КОЛЕНКОРОВЫЕ ПЕРЕПЛЕТЫ:

Цѣна 6 переплотовъ на 12 томовъ А. Додэ 1 р. 80 к., на 12 том. В. Теккерея 1 р. 80 к. и на 12 том. Гюи до Мопосана 1 р. 80 к. Перес. 6 перепл. за 3 ф., по разстояніямъ. **АДРЕСОВАТЬСЯ:** въ редакцію „Вѣстника Иностранной Литературы“, Спб., Верейская, 16 или въ контору, Гостиный дворъ, магазинъ П. Ѳ, Пантелеева, № 63.

(12—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 3 го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.